საქმე №3ბ/512-11

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

11 აპრილი, 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე – მანანა ჩოხელი

აპელანტი (მოსარჩელე) **–** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) – ზაზა გერგიშვილი
დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება
აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გადაწყვეტილება დაუკმაყოფლებელ ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განჩინებით დაინიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე – 2011 წლის 27 აპრილს 10:00 საათზე.

დადგენილია, რომ საქმეში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეს – ზაზა გერგიშვილს სარჩელში და სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – თელავი, ალაზნის გამზირი №14, ბინა 39, არ ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გზავნილები (უწყება, სააპელაციო საჩივარი), რაზეც შედგა შპს „სკს“-ს თანამშრომლის მიერ ქტები შინაარსით: „ვიყავი რამდენჯერმე და არ იყო სახლში“; „მეზობლების ინფორმაციით ადრესატი აღარ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე“.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ მართლზომიერია საქმეში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეს – ზაზა გერგიშვილს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინების საშუალებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან **ვებგვერდზე განთავსებით**, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობროვადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი, რის შედეგადაც მიიჩნევს, რომ მართლზომიერია საქმეში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობოს სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, მე-200 და 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწინააღმდეგე მხარეს – ზაზა გერგიშვილს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით ეცნობოს, რომ **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნულია ზეპირი განხილვის გარეშე თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2011 წლის 27 აპრილს 10:00 საათზე, მისამართზე - თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა**;
2. სასამართლო შეტყობინება განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე;
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

მოსამართლე **მანანა ჩოხელი**